

2018 წლის
საპრეზიდენტო არჩევნების
მედიამონიტორინგის პირველადი
შედეგები

18 ივნისი - 31 აგვისტო

www.mediamonitor.ge



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



Empowered lives.
Resilient nations.

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით. მის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები და მისი შინაარსის აღქმა ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პოზიციად დაუშვებელია.

Prepared with the assistance of the European Union (EU) and United Nations Development Programme (UNDP). Contents of the report are the sole responsibility of the authors and can in no way be taken to reflect the views of the European Union (EU) and UNDP.

შესავალი

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მედიამონიტორინგი გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის - „2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მედიამონიტორინგი“ - ფარგლებში ევროკავშირის მხარდაჭერით ხორციელდება.

წინასაარჩევნო პერიოდში მედიამონიტორინგს ახორციელებენ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები:

- საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია - სატელევიზიო ახალი ამბებისა და სატელევიზიო ტოქშოუების მონიტორინგი
- ინტერნიუსი-საქართველო - რადიოების მონიტორინგი
- სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი (CDI) - ბეჭდური და ონლაინ მედიის მონიტორინგი

კვლევის ფარგლებში ორგანიზაციები აკვირდებიან საარჩევნო სუბიექტების გაშუქებას 37 სხვადასხვა ტიპის მედიასაშუალებაში.

წინამდებარე ანგარიში აერთიანებს მიმდინარე კვლევის პირველად შედეგებს და მოცემულ პერიოდში (18 ივნისი - 31 აგვისტო) გაშუქების ძირითად ტენდენციებს ასახავს. ანგარიში არ არის კონცენტრირებული თითოეულ მედიასაშუალებაზე ცალ-ცალკე და მიზნად ისახავს მონიტორინგის პირველი ეტაპის შედეგად გამოვლენილი ზოგადი მიგნებების ანალიზს.

მეთოდოლოგია

ტელევიზიების წინასაარჩევნო მედია მონიტორინგი მოიცავს რაოდენობრივ და თვისებრივ კომპონენტებს. რაოდენობრივში შედის სუბიექტებისთვის დათმობილი დრო, პირდაპირი და ირიბი საუბარი და გაშუქების ტონი. თვისებრივი მონიტორინგის კომპონენტები კი არის: ბალანსი, სიზუსტე, ფაქტებზე დაფუძნებული გაშუქება, კადრებით და მუსიკით მანიპულირება.

გაშუქების ტონი ენიჭება სუბიექტს მაშინ, როცა მასზე საუბრობენ ირიბად და ასევე მაშინ, როდესაც ის თვითონ საუბრობს საკუთარ თავზე, სხვა სუბიექტებზე ან ზოგად საკითხებზე.

ჟურნალისტური ეთიკის ქარტია 8 ტელევიზიის მთავარ საინფორმაციო გამოშვებას და ტოქშოუებს აკვირდება.

მონიტორინგი ხორციელდება შემდეგ სატელევიზიო არხებზე:

- | | |
|-----------------|---------------------|
| 1. პირველი არხი | 5. მაესტრო |
| 2. რუსთავი 2 | 6. იბერია |
| 3. იმედი | 7. ობიექტივი |
| 4. ტვ პირველი | 8. აჭარის ტელევიზია |

მთავარი საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგი მიმდინარე წლის 18 ივნისს დაიწყო და უწყვეტად მიმდინარეობს. ამ მოკლე პერიოდში ტელევიზიები მეტ-ნაკლებად დაბალანსებულად აშუქებდა ახალ ამბებს, თუმცა თითქმის ყველა არხე დაფიქსირდა ეთიკური პრობლემები.

საინფორმაციო გამოშვებებისგან განსხვავებით ტოქშოუების მონიტორინგი დაიწყო 1 აგვისტოს. დაკვირვება ამ შემთხვევაშიც ზემოთ ჩამოთვლილი 8 ტელეარხზე მიმდინარეობს.

ძირითადი რაოდენობრივი ტენდენციები

რაოდენობრივი ანალიზის შედეგად გამოჩნდა, რომ ყველაზე მეტი დრო მთავრობის და მმართველი პარტიის - “ქართული ოცნების” გაშუქებას ეთმობა მთავრობას საშუალოდ თითოეულ არხზე 25 დან 35 %-მდე დრო ეთმობა, ქართულ ოცნებას საშუალოდ 25%, ოპოზიციური პარტიებიდან საშუალოდ 10 %-ზე მეტი არც ერთს დათმობია.

უფრო მცირე დრო დაეთმოთ პრეზიდენტობის უკვე დასახელებულ კანდიდატებს,

მათ შორის გაშუქების სიხშირით, სალომე ზურაბიშვილი, დავით ბაქრაძე და გრიგოლ ვაშაძე ლიდერობენ, თუმცა სამონიტორინგო არხებზე თითოეული კანდიდატისთვის დათმობილი დრო საშუალოდ 2%-ს არ აღემატება.

ძირითადი თვისებრივი ტენდენციები

წინა წლების მსგავსად სამონიტორინგო ტელევიზიების უმრავლესობა ნაკლებ რესურსს უთმობს ექსკლუზიური თემების მოძიებას და ძირითადად პოლიტიკოსთა აქტივობების გაშუქებით შემოიფარგლება.

სამონიტორინგო ტელევიზიების უმრავლესობის საინფორმაციო გამოშვებები მეტწილად პოლიტიკოსთა დღის წესრიგზეა აწყობილი. ჟურნალისტები აშუქებენ იმას, რასაც სთავაზობენ პოლიტიკოსები და თავად ნაკლებად ქმნიან ამბებს, საკუთარ დღის წესრიგს.

წინა წლების მსგავსად კვლავ მწირია ექსკლუზიური, სიღრმისეული, მოკვლევით ჟურნალისტიკაზე დაფუძნებული სიუჟეტები. ტელევიზიების უმრავლესობა მსგავსი შინაარსის სიუჟეტებს უმეტესად პოლიტიკური პარტიების მოძიებულ დოკუმენტებზე, პრესკონფერენციებზე, ანდა რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაციის ანგარიშებზე დაყრდნობით ამზადებენ. თუმცა, იშვიათად ხდება ასეთი ანგარიშების კარგად გაშლა, დამატებითი წყაროების, რესპონდენტების მოძიება, რაც უფრო საინტერესოს და აუდიტორიისთვის გასაგებს გახდიდა მსგავს სიუჟეტებს.

იშვიათად ვხვდებით შემთხვევებს, როცა მედია თავად იძიებს ინფორმაციას, მაგალითად, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის თუ საჯაროდ არსებული ანგარიშების, კვლევების შესწავლის გზით და ასეთ ინფორმაციაზე დაყრდნობით ამზადებს სიღრმისეულ სიუჟეტებს.

ჩვენი დაკვირვებით მაინც შესამჩნევი პროგრესია მხარეთა შორის ბალანსის დაცვის კუთხით, თუმცა ისევ გვხვდება კონკრეტული მაგალითები, როცა ბალანსი დარღვეულია. მაგალითად, კვლავ პრობლემად რჩება ე.წ. „კადრ სინქრონები“, სადაც პოლიტიკოსები ოპონენტზე მძიმე ბრალდებებს აჟღერებენ, თუმცა, ამას ჟურნალისტები ზოგჯერ მოპასუხის პოზიციის გარეშე აშუქებენ. ხშირად გვხვდება სიუჟეტები, რომლებშიც ორივე მხარე ჩაწერილია, მაგრამ შეუძლებელია საზოგადოებამ გაიგოს სიმართლეა თუ არა ესა თუ ის ბრალდება. ჟურნალისტები ხშირად არ იძიებენ დამატებით ინფორმაციას, არ ეძებენ დამატებით წყაროებს რაც ნათელს მოფენდა ამა თუ იმ ბრალდების რეალურობას. არადა ინფორმაციის მოძიება, წყაროების მრავალფეროვნებაზე ზრუნვა ჟურნალისტების ვალდებულებაა.

წინა წლების მსგავსად ნაკლები დრო ეთმობა საარჩევნო კანდიდატების პროგრამების მოძიებას, წინასაარჩევნო დაპირებების რეალურობის შესწავლას და ანალიზს მაშინ, როცა მედიის ერთ-ერთი ფუნქცია ამომრჩევლის უკეთ ინფორმირებაა, რაც მსგავსი სიუჟეტების გარეშე შეუძლებელია.

არხების ნაწილზე პრობლემაა ის, რომ რიგითი მოქალაქეების, მათი პრობლემების ჩვენება ხშირად მოქალაქეების მონაწილეობის გარეშე ხდება. მსგავსი თემები უმრავლესად მხოლოდ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების მონაწილეობით შუქდება. ზოგადად წინა წლებთან შედარებით შემცირებულია სოციალური პრობლემების ღრმად, ფაქტებზე დაფუძნებულად გაშუქება.

კვლავ შესამჩნევეია კონკრეტული არხების მიკერძოება, კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტების მიმართ. ხშირად აშკარაა კონკრეტული ტელევიზიის სიმპატია თუ ანტიპატია კონკრეტული პარტიის მიმართ.

რამდენიმე არხზე დაფიქსირდა, ჟურნალისტის მხრიდან მიკერძოებული, შეფასებითი ტექსტი კონკრეტული სუბიექტის მიმართ, რაც მიუღებელია და არ შეესაბამება საინფორმაციო გამოშვებების ფორმატს.

ზოგიერთ არხზე დაფიქსირდა შემთხვევები, როცა ჟურნალისტები კონკრეტული სუბიექტების კომენტარის წარდგენისას არასწორად ციტირებდნენ რესპონდენტის სიტყვებს, რაც ზოგჯერ ინფორმაციის დამახინჯების მცდელობის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

სამონიტორინგო ტელევიზიების უმრავლესობაში მკვეთრადაა შემცირებული სიძულვილის ენის, შეუსაბამო ტერმინოლოგიის გამოყენება და ტირაჟირება. მხოლოდ რამდენჯერმე დაფიქსირდა ჟურნალისტის მხრიდან სექსისტური განცხადების ფაქტი.

ტექნიკური ხარვეზები

ზოგიერთ არხზე დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზები: ზოგჯერ სტუდიაში ისმის ზედმეტი ხმები, ეთერში გადის ხარვეზიანი კადრები და ხმა. ყველაზე ხელშესახები ტექნიკური პრობლემა ტიტრების გამოუყენებლობაა, რაც რესპონდენტის ვინაობის დადგენას ართულებს.

ტოქშოუები

მონიტორინგის ქვეშ ხვდება პრაიმ ტაიმში გასული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ტოქშოუები, ასევე საინფორმაციო გამოშვებებში 10 წუთზე მეტი ქრონომეტრაჟის მქონე ინტერვიუები მოწვეულ სტუმრებთან. საანგარიშო პერიოდში ამგვარი ინტერვიუები მიზნად ისახავდა მიმდინარე თემაზე რესპონდენტისგან უფრო მეტი ინფორმაციის მიღებას და ერთგვარი ვრცელი კომენტარების მოსმენის საშუალება ჰქონდა მაყურებელს. ზოგიერთ შემთხვევაში იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ სტუმრები ქრონომეტრაჟის შესავსებად იყვნენ მოწვეულნი.

საანგარიშო პერიოდში ტოქშოუ რეგულარულად მხოლოდ „ობიექტივის“ ეთერში გადაიცემოდა. აგვისტოს თვეში სხვა გადაცემები შვებულების გამო ეთერში არ გასულა. ობიექტივის გადაცემა „ღამის სტუდია“, გასული წლების მსგავსად „პატრიოტთა ალიანსის“ სამაუწყებლო პლატფორმაა. ამ პარტიის წევრები ხან სტუმრის და ხანაც გადაცემის წამყვანის სტატუსით მონაწილეობენ, მაგალითად, პოლიტიკურ მდივანს ვაჟა ოთარაშვილს, რომელიც „ღამის სტუდიას“ რესპონდენტის როლში სტუმრობს, ამავე არხზე მიჰყავს გადაცემათა ციკლი „ლიტერატურა, ხელოვნება, სულიერება“. გადაცემაში უხეშად არის დარღვეული პროფესიული ეთიკის სტანდარტები. ტოქშოუში ხშირად არის გამოყენებული ჰომოფობიური, ქსენოფობიური ლექსიკა როგორც რესპონდენტების, ასევე წამყვანების მხრიდან, რაც ხელს უწყობს სტერეოტიპების გაღვივებას, სიძულვილის ენის ტირაჟირებას. ისინი არ ერიდებიან საკუთარი მოსაზრებების გავრცელებას, რომელიც არ ეფუძნება რაიმე ფაქტობრივ გარემოებებს და არ არის გამყარებული არგუმენტებით. შესაბამისად, ერთმანეთისგან არ არის გამიჯნული ფაქტები და მოსაზრებები. გადაცემის თემატიკა ზოგადად და მსჯელობაც არაერთ თემას ეხება.

რადიოარხების საინფორმაციო გამოშვებების წინასაარჩევნო მონიტორინგი



მეთოდოლოგია

რადიოარხების მთავარი საინფორმაციო გამოშვებების საარჩევნო თემების მონიტორინგის მიზანია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად თანაბარ პირობებში და ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით ხდება წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური სუბიექტებისთვის საეთერო დროის გამოყოფა და მათი საქმიანობის გაშუქება.

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებთან დაკავშირებით "ინტერნიუსი - საქართველო" 11 რადიოარხის სადამოს საინფორმაციო გამოშვებების მონიტორინგს ახორციელებს. ეს რადიოებია:

1. **საზ.მაუწყებლის „რადიო 1“** FM 102,4 - 18:00 საათიანი მთავარი გამოშვება;
2. **„იმედი“** FM 105,9 - 18:00 საათიანი გამოშვება;
3. **„ფორტუნა“** FM 106,9 - 18:00 საათიანი გამოშვება;
4. **„პალიტრა“** FM 103,9 - 18:00 საათიანი გამოშვება;
5. **"პირველი რადიო"** FM 106,4 - 18:00 საათიანი გამოშვება;
6. **"მაესტრო"** FM 94,7 - 17:00 საათიანი მთავარი გამოშვება;
7. **რადიო „აფხაზეთის ხმა“** FM 98.9 - 18:00 საათიანი გამოშვება;
8. **რადიო „თავისუფლება“** - სადამოს თავისუფლება 18:00-19:00 საათი;
9. **რადიო "აჭარა"** (აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებელი, ქ. ბათუმი) FM 104,5 – 18:00 საათიანი გამოშვება;
10. **რადიო „ჭერეთი“** (ქ. თბილისი/ლაგოდეხი) - FM 102,8 - 17:00 საათიანი მთავარი გამოშვება;
11. **რადიო „ათინათი“** (ქ. ზუგდიდი) FM 105,9 - 17:00 საათიანი გამოშვება;

მონიტორინგი შედგება რადიოენობრივი და თვისებრივი კვლევის ეტაპებისგან. რადიოენობრივი მონიტორინგი განსაზღვრავს ისეთ ინდიკატორებს, რომლებიც შეიძლება დაითვალოს და გაანალიზდეს. ხოლო თვისებრივი მონიტორინგი გამოიყენება მედიის საშუალებების მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად ისეთ მაჩვენებლებთან მიმართებაში, როგორცაა ეთიკური ან პროფესიული სტანდარტები, რომელთა რადიოენობრივად გაზომვა რთულია; ყურადღება ექცევა ინფორმაციის დამახინჯებას, დაუბალანსებელ გაშუქებას, ტენდენციურობას და ნებისმიერ ისეთ ფაქტს, რომელიც მნიშვნელოვანია ინფორმაციის ხარისხის წარმოსადგენად.

მონიტორინგის დროს დაკვირვება ხდება კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებზე, პარტიებზე და პოლიტიკოსებზე, რომლებიც 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში არიან ჩართულნი. მონიტორინგის სუბიექტები ასევე არიან საინიციატივო ჯგუფების მიერ

წარდგენილი პრეზიდენტობის კანდიდატები, მთავრობა (ცენტრალური, ადგილობრივი, აჭარის) და პრეზიდენტი. პრეზიდენტობის კანდიდატებისთვის დროის ცალკე დათვლა მონიტორინგის დასაწყისიდანვე დაიწყო, მას შემდეგ რაც ესა თუ ის პარტია ან ჯგუფი მას კანდიდატად წარადგინდა.

შეჯამება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (18 ივნისი - 31 აგვისტო) უმეტესი რადიოარხის სადამოს საინფორმაციო გამოშვებებში ცდილობდნენ მოეცვათ ყველა მოვლენა და პოლიტიკური პროცესები აქტიურად გაეშუქებინათ. ივნის-ივლისში წინასაარჩევნო თემები ჯერ კიდევ არ იყო აქტუალური. პრეზიდენტობის კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანია აგვისტოში, არჩევნების თარიღის გამოცხადების შემდეგ, შედარებით გააქტიურდა და, შესაბამისად, მათი გაშუქებაც გაიზარდა. დრო, ძირითადად, კანდიდატების მოსახლეობასთან შეხვედრებს („ვის შეხვდა, სად შეხვდა, რას დაჰპირდა“) ეთმობოდა. ინფორმაცია მშრალი და ზედაპირული იყო, არ ჩანდა მცდელობა მსმენელს უფრო ანალიტიკური და მრავალფეროვანი ინფორმაცია მიეღო. ახალი ამბები უმეტესად პრესკონფერენციებზე და პოლიტიკოსთა შეხვედრების შემდეგ გაკეთებულ ზოგად კომენტარებზე დაყრდნობით მზადდებოდა. ჟურნალისტები არ ცდილობდნენ პრობლემური თემების სიღრმისეულ გაშუქებას, არც ისეთი საკითხები შუქდებოდა, რომლებზეც პოლიტიკოსები თავად არ საუბრობდნენ.

18 ივნისი - 31 აგვისტოს მონიტორინგის შედეგები გვიჩვენებს, რომ, წინა წლების მსგავსად, რადიომაუწყებლების უმეტესობა არც ერთი პოლიტიკური ძალის მიმართ მიკერძოებულ დამოკიდებულებას არ გამოხატავდა და მათი განსაკუთრებულად დადებით ან უარყოფით კონტექსტში გაშუქების ფაქტები არ დაფიქსირებულა. თუმცა, კვლავაც პრობლემად დარჩა პოლიტიკოსთა აქტივობების კრიტიკული კითხვების დასმის გარეშე გაშუქება.

ძირითადი რაოდენობივი ტენდენციები

საინფორმაციო გამოშვებები, ძირითადად, დაბალანსებული იყო. რადიომაუწყებლებზე ყველაზე მეტად გაშუქებული სუბიექტები იყვნენ: „მთავრობა“ (საშუალოდ, დროის 35%) და „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ (საშუალოდ, 25%). საპარლამენტო ოპოზიციურ პარტიებს თითქმის ყველა მაუწყებელმა მთლიანი დროის საშუალოდ 7% დაუთმო, არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების გაშუქება კი, წინა წლებთან შედარებით, ძალიან შემცირებული იყო და 1%-ს არ აღემატებოდა.

პრეზიდენტობის კანდიდატების საარჩევნო კამპანია აგვისტოში შედარებით გააქტიურდა და შესაბამისად გაიზარდა მათი გაშუქებაც, თუმცა მათთვის დათმობილი დრო მცირეა და არხების უმრავლესობაზე მთლიანი დროის 5%-ს არ აღემატება. აქედან, ყველაზე მეტი დრო დაეთმო: სალომე ზურაბიშვილს, დავით ბაქრაძესა და გრიგოლ ვაშაძეს.

მონიტორინგის სუბიექტების გაშუქების დადებით და უარყოფით ტონებს ბევრად სჭარბობდა ნეიტრალური ტონი, რაც გარკვეულწილად რადიომაუწყებლების მიერ მოვლენების ზედაპირული გაშუქების შედეგი იყო. ასევე ნეიტრალური იყო პრეზიდენტობის კანდიდატების გაშუქებაც, რამდენიმე არხზე მხოლოდ სალომე ზურაბიშვილის მიმართ დაფიქსირდა ნეგატიური ტონი.

წინა წლებთან შედარებით რადიომაუწყებლების ნაწილი უფრო მეტ დროს უთმობდა მონიტორინგის სუბიექტების პირდაპირ საუბარს. თუმცა, რადიოარხების უმრავლესობაში ერთ-ერთ მთავარ პრობლემად კვლავ რჩება რესპონდენტების წარდგენა - მსმენელისთვის ხშირად გაუგებარია ვინ საუბრობს.

ინფორმაციის წყაროების და თემების სიმწირე

ჟურნალისტები ახალ ამბებს ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით არ ავრცელებდნენ, მაგრამ შეინიშნებოდა ინფორმაციის წყაროთა ნაკლებობა. სიუჟეტები გამდიდრებული არ იყო სპეციალისტების შეფასებებით, საჯარო ინფორმაციითა თუ სხვადასხვა კვლევის შედეგებით. რადიომაუწყებლების ახალი ამბები ხშირად იდენტური იყო: თემებს ერთნაირი კუთხით განიხილავდნენ და პოლიტიკოსთა ერთი და იგივე კომენტარები ისმოდა. რადიომაუწყებლების უმეტესობა მსმენელებს ექსკლუზიურად მოპოვებულ ინფორმაციას ვერ სთავაზობდა.

რადიოარხების საინფორმაციო გამოშვებების ქრონომეტრაჟი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გაშუქდეს როგორც ცენტრალური, ასევე რეგიონების სიახლეები და პრობლემები, მაგრამ მათი უმრავლესობა ამ შესაძლებლობას ნაკლებად იყენებდა. რადიომაუწყებლების ეთერიდან გამქრალია სოციალური პრობლემები, რეგიონების ახალი ამბები კი მხოლოდ სტიქიური უბედურებების გაშუქებას ეხებოდა. დრო ასევე არ ეთმობოდა უმცირესობებისა თუ სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების პრობლემებს და, ბუნებრივია, ამ საკითხებთან დაკავშირებით არც პოლიტიკოსთა მოსაზრებები ისმოდა.

რადიომაუწყებლებში შენარჩუნდა ტენდენცია, რომ ჟურნალისტები პროფესიული ეთიკის სტანდარტებს არ არღვევდნენ და არც ხმით/მუსიკით მანიპულაციის ან სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევები დაფიქსირებულა.

მეთოდოლოგია

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მედიამონიტორინგის ფარგლებში დაკვირვება ხდება 11 ვებსაიტზე: ambebi.ge, interpressnews.ge, news.ge, on.ge, ipress.ge, reportiori.ge, marshalpress.ge, tabula.ge, palitravideo.ge, netgazeti.ge, liberali.ge.

მონიტორინგის პერიოდში შერჩეულ მედიასაშუალებებზე დაკვირვება ხდება როგორც რაოდენობრივად, ასევე თვისებრივად. რაოდენობრივი მონიტორინგის დროს დაკვირვება ხდება, თუ რა სიხშირითა და ტონით აშუქებს შერჩეული მედიასაშუალება მონიტორინგის სუბიექტებს, ხოლო თვისებრივი დაკვირვების დროს ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ რამდენად ცდილობს გამოცემა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დაცვას.

სარეკლამო მასალების გამოქვეყნება მითითების გარეშე

როგორც წინა წლებში, 2018 წლის მონიტორინგის პერიოდშიც ქართული ონლაინ მედიის ერთ-ერთ უმწვავეს გამოწვევას წარმოადგენს შესაბამისი მითითების გარეშე გამოქვეყნებული სარეკლამო თუ სხვა სახის კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული მასალები. ვებსაიტების გარკვეული ნაწილი საერთოდ არანაირ მითითებას არ ურთავს აღნიშნულ სტატიებს. აუცილებელია, რომ ონლაინ მედიასაშუალებამ მკაფიოდ გამიჯნოს კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიები სარედაქციო მასალებისგან.

სარეკლამო სტატიების არასათანადო გამიჯვნა

ვებსაიტების გარკვეული ნაწილი ურთავს მინიშნებას კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებულ სტატიებს, თუმცა აღნიშნული მითითებები ნებისმიერი მკითხველისთვის მარტივად გასაგები არ არის. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ონლაინ მედიასაშუალებამ კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებულ სტატიებს დაურთოს ისეთი მინიშნება, რომელიც მკითხველისთვის იქნება მარტივად შესამჩნევი და გასაგები.

პრეს-ცენტრების მიერ მიწოდებული ინფორმაციის არასათანადო გამიჯვნა

ქართულ ონლაინ მედიაში საკმაოდ ხშირად გვხვდება სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა თუ სახელმწიფო უწყების პრეს-ცენტრის მიერ მიწოდებული ინფორმაციის გამოქვეყნება შესაბამისი მითითების გარეშე. როდესაც ონლაინ მედიასაშუალება აქვეყნებს პრეს-ცენტრიდან მოპოვებულ მასალას, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ, ასეთ შემთხვევაში, ვებსაიტმა მკითხველს შეატყობინოს თუ საიდან არის აღნიშნული მასალა მოპოვებული და რომ ის არ წარმოადგენს სარედაქციო ნამუშევარს.

მოვლენების ზედაპირული გაშუქება

ონლაინ მედიის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს საკითხების ზედაპირული გაშუქება. მონიტორინგისთვის შერჩეული ვებსაიტების დიდი უმრავლესობა ძირითადად მხოლოდ

პოლიტიკოსთა და სხვადასხვა სახელმწიფო უწყების წარმომადგენელთა ყოველდღიურ საქმიანობასა და განცხადებებს აშუქებს. ონლაინ მედიაში თითქმის არ გვხვდება საკითხების სიღრმისეული ანალიზი. სასურველია, რომ ონლაინ გამოცემებმა მეტი ყურადღება დაუთმონ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების სიღრმისეულ ანალიზს.

მონიტორინგის სუბიექტთა არასათანადო გაშუქება

მონიტორინგისთვის შერჩეული ონლაინ გამოცემების დიდი ნაწილში ჭარბობს მთავრობისა და მმართველი პარტიის გაშუქება. ცხადია, რომ აღნიშნული სუბიექტების გაშუქებას შეიძლება სხვა სუბიექტებზე მეტი ყურადღება დაეთმოს, თუმცა, გვხვდება ვებსაიტები, რომელთა საერთო გაშუქების ორი მესამედი მხოლოდ მმართველი გუნდის გაშუქებას ეთმობა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ონლაინ გამოცემებმა მეტი ყურადღება დაუთმონ ქვეყანაში მოქმედი სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის საქმიანობისა და ხედვების გაშუქებას.

ინფორმაციის წყაროთა ნაკლებობა

ონლაინ გამოცემებში გამოქვეყნებული სტატიების დიდი უმრავლესობა ინფორმაციის მხოლოდ ერთ წყაროზე დაყრდნობით მზადდება. ცალკეულ სტატიებში თითქმის არასოდეს გვხვდება განსხვავებული მოსაზრებებისა და არგუმენტების წარმოჩენის მიცდელობა. პოლიტიკოსთა განცხადებები უმეტეს შემთხვევებში ქვეყნდება ყოველგვარი კომენტარისა თუ განცხადებაში წარმოდგენილი ფაქტების გადამოწმების მცდელობის გარეშე. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავედება, როდესაც ამა თუ იმ პოლიტიკოსისა თუ სახელმწიფო მოხელის მიმართ ვრცელდება მძიმე ბრალდება. აუცილებელია, რომ ონლაინ მედიის ჟურნალისტებმა მოახერხონ ცალკეულ სტატიებში განსხვავებული მოსაზრებებისა და არგუმენტების წარმოდგენა. განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც ქვეყნდება მძიმე ბრალდება ამა თუ იმ პირის მიმართ.

დაუდასტურებელი ინფორმაციის გამოქვეყნება

ონლაინ გამოცემებში საკმაოდ ხშირად გვხვდება გადაუმოწმებელი და დაუდასტურებელი ინფორმაციის გამოქვეყნების შემთხვევები. აღნიშნული შემთხვევები ძირითადად გვხვდება პოლიტიკოსთა თუ სხვა პირთა განცხადებებში, რომლებიც ვებსაიტებზე ქვეყნდება უკომენტაროდ და შესაბამისი გადამოწმების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის ინფორმაცია ნაკლებად გვხვდება თვითონ ჟურნალისტთა ტექსტებში, ონლაინ მედიის ჟურნალისტებმა უნდა გააცნობიერონ, რომ სხვადასხვა პირის მიერ გავრცელებული ინფორმაციის გადაუმოწმებლად და უკომენტაროდ გამოქვეყნებამ შესაძლოა გამოიწვიოს საზოგადოებაში არასწორი ინფორმაციის გავრცელება. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ონლაინ მედიის ჟურნალისტებმა მეტი ყურადღება დაუთმონ მათ მედიასაშუალებებში გაჟღერებული ინფორმაციის გადამოწმებას. განსაკუთრებით, ისეთ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული ინფორმაცია შეიცავს მძიმე ბრალდებებს ამა თუ იმ პირისა თუ სახელმწიფო სტრუქტურის მიმართ.

გადაუმოწმებელი ინფორმაცია სოციალური ქსელებიდან

ზოგი ონლაინ გამოცემა უკომენტაროდ აქვეყნებს სხვადასხვა პირის მიერ სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებულ განცხადებებს და არ ჩანს ჟურნალისტთა მხრიდან ამ განცხადებებში წარმოდგენილი ფაქტების გადამოწმების მცდელობა. ჟურნალისტებმა

უნდა გააცნობიერონ, რომ სოციალური ქსელიდან მოპოვებულ ინფორმაციას ისევე სჭირდება გადამოწმება, როგორც რესპონდენტთა მხრიდან სხვა სახით მიღებულ ინფორმაციას, ვინაიდან ასეთი განცხადებების უკომენტაროდ და გადაუმოწმებლად გამოქვეყნების შედეგად მკითხველმა შესაძლოა მიიღოს მცდარი ინფორმაცია ამა თუ იმ საკითხის შესახებ.

პრეზიდენტობის კანდიდატთა არასათანადო გაშუქება

ონლაინ მედიაში საკმაოდ აქტიურად შუქდება პრეზიდენტობის კანდიდატთა განცხადებები და წინასაარჩევნო საქმიანობა, მაგრამ თითქმის საერთოდ არ გვხვდება აღნიშნულ კანდიდატთა ხედვებისა და დაპირებების სიღრმისეული ანალიზი. პრეზიდენტობის კანდიდატთა განცხადებები და დაპირებები ძირითადად ვრცელდება უკომენტაროდ და არ გვხვდება აღნიშნული განცხადებების კრიტიკული ანალიზი. სასურველია, რომ ონლაინ გამოცემებმა, პრეზიდენტობის კანდიდატთა მხოლოდ განცხადებებისა და ყოველდღიური საქმიანობის გაშუქების გარდა, მკითხველს შესთავაზონ აღნიშნულ კანდიდატთა გეგმებისა და ხედვების მეტად სიღრმისეული ანალიზიც.

კრიტიკული და მრავალმხრივი ანალიზის ნაკლებობა

ქართული ონლაინ მედიის ერთ-ერთი მწვავე გამოწვევა საკითხების ზედაპირული გაშუქებაა. შედეგად, ონლაინ გამოცემებიდან მკითხველი ძირითადად იღებს ინფორმაციას სხვადასხვა პოლიტიკოსისა თუ სახელმწიფო უწყების წარმომადგენელთა განცხადებებისა და ყოველდღიური საქმიანობის შესახებ. ონლაინ გამოცემებში თითქმის არ გვხვდება სოციალური და ეკონომიკური საკითხების სიღრმისეული და მრავალმხრივი ანალიზი. იშვიათად ეთმობა გაშუქება საქართველოს რეგიონებში არსებულ სოციალურ პრობლემებს. რეგიონებში მიმდინარე მოვლენების შესახებ უმეტესად შუქდება წარმატებული ინფრასტრუქტურული პროექტების დაწყება თუ დასრულება და საგულისხმოა, რომ აღნიშნული სტატიები ხშირ შემთხვევებში დაფინანსებულია სხვადასხვა სახელმწიფო უწყების მიერ. შეიძლება ითქვას, რომ ონლაინ გამოცემების დიდი ნაწილი საერთოდ არ სთავაზობს მკითხველს დამოუკიდებელ ჟურნალისტურ ნამუშევარს. ონლაინ გამოცემების უმრავლესობაში საერთოდ არ გვხვდება რომელიმე მნიშვნელოვანი საკითხის კრიტიკული და სიღრმისეული ანალიზი. სასურველია, რომ ონლაინ გამოცემებმა გაითვალისწინონ ქართულ ონლაინ მედიაში არსებული სიღრმისეული გაშუქების ნაკლებობა და მეტი ყურადღება დაუთმონ საკითხების კრიტიკულ და მრავალმხრივ ანალიზს, რათა მკითხველს მიაწოდონ მეტად სრულყოფილი ინფორმაცია ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ.

მეთოდოლოგია

2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მედიამონიტორინგის ფარგლებში დაკვირვება ხდება 7 გაზეთზე: „რეზონანსი“, „ახალი თაობა“, „ალია“, „ასავალ-დასავალი“, „კვირის პალიტრა“, „საქართველო და მსოფლიო“, „ქრონიკა +“. მონიტორინგის პერიოდში შერჩეულ მედიასაშუალებებზე დაკვირვება ხდება როგორც რაოდენობრივად, ასევე თვისებრივად. რაოდენობრივი მონიტორინგის დროს დაკვირვება ხდება თუ რა სიხშირითა და ტონით აშუქებს შერჩეული მედიასაშუალება მონიტორინგის სუბიექტებს, ხოლო თვისებრივი დაკვირვების დროს ყურადღება გამახვილებულია იმაზე თუ რამდენად ცდილობს გამოცემა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების დაცვას.

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია მხოლოდ ზოგადი თვისებრივი მიგნებები. ცალკეული გამოცემების როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი შედეგები გამოქვეყნდება მონიტორინგის შუალედურ ანგარიშში, 2018 წლის ოქტომბერში.

მონიტორინგის სუბიექტთა გაშუქება

2018 წლის მონიტორინგის მოცემულ პერიოდში, გასულ წლებში განხროცილებული მონიტორინგის შედეგებისგან განსხვავებით, ყველა გამოცემაში ჭარბობს მთავრობისა და „ქართული ოცნების“ გაშუქება. აღნიშნული სუბიექტების გაშუქება სხვადასხვა გაზეთში სხვადასხვა ტონით გვხვდება, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ძალიან მცირე გაშუქება ეთმობა სხვა პოლიტიკურ პარტიებს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გამოცემებმა, მმართველი პარტიის გარდა, სათანადო ყურადღება დაუთმონ ქვეყანაში მოქმედი სხვა პოლიტიკური პარტიების საქმიანობისა და ხედვების გაშუქებას.

შეურაცხყოფელი ტერმინოლოგია ჟურნალისტთა ტექსტებში

ისევე როგორც გასულ წლებში, 2018 წლის მონიტორინგის პერიოდშიც, ქართულ პრესაში ხშირად გვხვდება შეურაცხყოფელი და დისკრიმინაციული ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები ჟურნალისტთა მხრიდან. ზოგი გამოცემის ჟურნალისტები სისტემატურად იყენებენ საკმაოდ მძიმე შეურაცხყოფელ ტერმინოლოგიას სხვადასხვა პოლიტიკოსისა თუ საზოგადოებისთვის ცნობილ სხვა პირთა გაშუქებისას. აუცილებელია, რომ ჟურნალისტებმა მოახერხონ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვა შეურაცხყოფელი ტერმინოლოგიის გამოყენების გარეშე.

შეურაცხყოფელი ტერმინოლოგია რესპონდენტთა ტექსტებში

2018 წლის მონიტორინგისთვის შერჩეულ არაერთ გაზეთში შეინიშნება ისეთ რესპონდენტთა სიხშირე, რომლებიც გამოირჩევიან შეურაცხყოფელი ტერმინოლოგიის ხშირი გამოყენებით სხვადასხვა პოლიტიკოსისა თუ საზოგადოებისთვის ცნობილ სხვა პირთა მიმართ. ასეთ რესპონდენტებთან ინტერვიუს დროს ჟურნალისტები შეურაცხყოფელი განცხადებებისგან გამიჯვნის ნაცვლად, უმეტეს შემთხვევებში, თავად ერთვებიან ამ სტილის დისკუსიაში. აუცილებელია, რომ ჟურნალისტი გაემიჯნოს რესპონდენტის შეურაცხყოფელ და დისკრიმინაციულ შეფასებებს ამა თუ იმ პირის მიმართ.

ინფორმაციის წყაროთა ნაკლებობა

ქართული პრესის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს დაუბალანსებელი სტატიები. უმეტეს შემთხვევებში სტატიები მზადდება ინფორმაციის მხოლოდ ერთ წყაროზე დაყრდნობით და არ ჩანს სხვადასხვა მხარის არგუმენტებისა თუ შეხედულებების წარმოჩენის მცდელობა. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით მწვავედება როდესაც სტატიაში წარმოდგენილია მძიმე ბრალდებები ამა თუ იმ პოლიტიკოსის მიმართ. გარდა იმისა, რომ არ ხდება ბრალდებული მხარის პოზიციის გაშუქება, თვითონ ჟურნალისტებიც იშვიათად შედიან რესპონდენტებთან დისკუსიაში და შედეგად, სტატიები ეყრდნობა ცალმხრივ ბრალდებებს, რომლებიც ქვეყნდება დასაბუთებისა და გადამოწმების გარეშე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალისტებმა ცალკეულ სტატიებში მკითხველს შესთავაზონ ინფორმაციის წყაროთა და მოსაზრებათა მრავალფეროვნება, რათა სტატიაში წარმოდგენილი მოსაზრებები არ იყოს ცალმხრივი და მკითხველს მიეცეს საშუალება, გაეცნოს განსხვავებულ მოსაზრებებს გაშუქებული საკითხის შესახებ. განსაკუთრებით, ისეთ შემთხვევებში, როდესაც სტატიაში წარმოდგენილია მძიმე ბრალდებები ამა თუ იმ პირის მიმართ.

გადაუმოწმებელი ინფორმაციის გამოქვეყნება

ქართული პრესის სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს გადაუმოწმებელი ინფორმაციის გამოქვეყნება. ძალიან ხშირია შემთხვევები, როდესაც რესპონდენტთა განცხადებებში წარმოდგენილი ფაქტები ქვეყნდება სათანადო გადამოწმების გარეშე. ხშირად გვხვდება რესპონდენტთა განცხადებები ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა გადამოწმება საკმაოდ მარტივია თუმცა არ ჩანს ჟურნალისტთა მხირდან ამის მცდელობა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალისტი შეეცადოს ინფორმაციის სათანადადო გადამოწმებას და მკითხველს შეატყობინოს თუ რამდენად შეესაბამება სიმართლეს რესპონდენტის განცხადებებში წარმოდგენილი ფაქტები. განსაკუთრებით, ისეთ შემთხვევებში, როდესაც რესპონდენტის მიერ გავრცელებული ინფორმაცია შეიცავს მძიმე ბრალდებებს ამა თუ იმ პირისა თუ სახელმწიფო ინსტიტუტის საქმიანობის მიმართ.

გადაუმოწმებელი ინფორმაცია სოციალური ქსელიდან

ზოგი გამოცემა უკომენტაროდ აქვეყნებს სხვადასხვა პირის მიერ სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებულ განცხადებებს და არ ჩანს ჟურნალისტთა მხრიდან ამ განცხადებებში წარმოდგენილი ფაქტების გადამოწმების მცდელობა. ჟურნალისტებმა უნდა გააცნობიერონ, რომ სოციალური ქსელიდან მოპოვებულ ინფორმაციას ისევე სჭირდება გადამოწმება, როგორც რესპონდენტთა მხრიდან სხვა სახით მიღებულ ინფორმაციას, ვინაიდან ასეთი განცხადებების უკომენტაროდ და გადაუმოწმებლად გამოქვეყნების შედეგად მკითხველმა შესაძლოა მიიღოს მცდარი ინფორმაცია ამა თუ იმ საკითხის შესახებ.

სხვადასხვა მედიასაშუალების მიერ მოპოვებული ინფორმაციის გადაუმოწმებლად გაშუქება

2018 წლის მონიტორინგის პერიოდში შეგვხვდა არაერთი შემთხვევა, როდესაც გამოცემებმა გადაუმოწმებლად გააშუქეს სხვა მედიასაშუალებების მიერ მოპოვებული და გაშუქებული ინფორმაცია. აღნიშნულ სტატიებში არ ყოფილა ნახსენები თუ საიდან ჰქონდა მოპოვებული ინფორმაცია თვითონ იმ მედიასაშუალებებს, რომლებმაც ეს ინფორმაცია პირველად გააშუქეს. სხვა მედიასაშუალების მიერ მოპოვებული ინფორმაციის

გაშუქებისას, სასურველია, რომ ჟურნალისტმა თავად გადაამოწმოს და მკითხველს შეატყობინოს თუ საიდან იყო მოპოვებული და რამდენად სანდოა აღნიშნული ინფორმაცია.

დაუსაბუთებელი ბრალდებები ჟურნალისტთა ტექსტებში

პრესის ჟურნალისტთა მხრიდან საკმაოდ ხშირად გვხვდება სხვადასხვა პოლიტიკოსის მიმართ გამოთქმული მძიმე ბრალდებები, რომლებიც გამყარებული არ არის სათანადო არგუმენტებითა თუ ფაქტებით. გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც პოლიტიკოსთა მიმართ ჟურნალისტთა ბრალდებები შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს. კატეგორიულად მიუღებელია, რომ ჟურნალისტმა ამა თუ იმ პოლიტიკოსის მიმართ გაავრცელოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც შეიცავს სამართალდარღვევას. ჟურნალისტებმა უნდა გააცნობიერონ, რომ უტყუარი ფაქტებით გაუმყარებელი სისხლის სამართლის დანაშაულის დაბრალება თავისთავად არაკანონიერია და შეიძლება განხილული იქნას როგორც ცილისწამება. აუცილებელია, რომ ჟურნალისტებმა თავი შეიკავონ პოლიტიკოსთა მიმართ მძიმე ბრალდებების გაჟღერებისგან თუ ამ ბრალდებების სინამდვილის უტყუარი ფაქტები არ გააჩნიათ.

ცალკეული პიროვნებების სისტემატური კრიტიკა

არაერთ გამოცემემაში შეინიშნება ცალკეული პირების სისტემატური, მიზანმიმართული კრიტიკა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული გამოცემების მიზანი არის არა ამ პირთა შესახებ ობიექტური ინფორმაციის მოპოვება და გავრცელება, არამედ მათი რეპუტაციისა და ღირსების შელახვა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გაზეთმა ნებისმიერი პიროვნების საქმიანობა გააშუქოს მხოლოდ ფაქტებზე დაყრდნობით და მოერიდოს ამა თუ იმ პირის მიმართ დაუსაბუთებელი ბრალდებებისა თუ პიროვნული შეურაცხყოფის სისტემატურ გამოქვეყნებას.

სარეკლამო მასალების არასათანადო გამიჯვნა

არაერთ გამოცემაში შეინიშნება კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში მომზადებული სტატიების არასათანადო გამიჯვნა სარედაქციო მასალებისგან. აუცილებელია, რომ გამოცემამ სათანადოდ, მკითხველისთვის მარტივად გასაგებად, მიუთითოს ისეთ სტატიებს, რომლებიც მომზადებულია გარკვეული კომერციული ხელშეკრულების ფარგლებში და რომლებიც არ წარმოადგენს სარედაქციო ნამუშევარს.

სოციალური და ეკონომიკური პრობლემების არასათანადო გაშუქება

მიუხედავად იმისა, რომ არაერთ გაზეთში გვხვდება ქვეყანაში არსებული სოციალური და ეკონომიკური პრობლემების ობიექტური და მრავალმხრივი გაშუქების მცდელობა, გაზეთების დიდი ნაწილი აღნიშნულ საკითხებს უმეტეს შემთხვევებში აშუქებს მხოლოდ პოლიტიკურ ჭრილში, ცალმხრივად და ზედაპირულად. საკმაოდ ხშირად გვხვდება შემთხვევები, როდესაც აღნიშნული საკითხების შესახებ მსჯელობა წარმოდგენილია როგორც რომელიმე პოლიტიკური ძალის კრიტიკისა თუ დადებითან წარმოჩენის მცდელობა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ გამოცემებმა სათანადო ყურადღება დაუთმონ ქვეყანაში არსებული სოციალური და ეკონომიკური პრობლემების მაქსიმალურად ობიექტურ და სიღრმისეულ ანალიზს. აუცილებელია, რომ აღნიშნული პრობლემების

გაშუქებისას ცალკეულ სტატიებში წარმოდგენილი იყოს ინფორმაციის წყაროთა მრავალფეროვნება.

პრეზიდენტობის კანდიდატა არასათანადო გაშუქება

მონიტორინგისთვის შერჩეული გაზეთების ნაწილში საერთოდ არ გვხვდება პრეზიდენტობის კანდიდატა ხედვებისა და საარჩევნო დაპირებების ობიექტური, დასაბუთებული ანალიზი. გაზეთების ნაწილი პრეზიდენტობის კანდიდატა უკიდურესად არაობიექტური და ცალმხრივი გაშუქებით გამოირჩევა. ხშირად გვხვდება კანდიდატა მიმართ ცალმხრივი კრიტიკა, პიროვნული შეურაცხყოფა და დაუსაბუთებელი ბრალდებები. აუცილებელია, რომ გამოცემამ მეტი ყურადღება დაუთმოს პრეზიდენტობის კანდიდატა გეგმებისა და საარჩევნო დაპირებების ობიექტურ და სიღრმისეულ ანალიზს და მკითხველს მიაწოდოს სანდო და სრულფასოვანი ინფორმაცია საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატა შესახებ.